# თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სალექციო კურსის სასწავლო გეგმა**

სასწავლო წელი
2010-2011

**სასწავლო კურსის სახელწოდება:**

# შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში

**სასწავლო კურსის კოდი:** H.1H.44

**ლექტორი _** ასისტენტ პროფესორი თეიმურაზ ლამაზოშვილი
**ტელეფონები:** tel: 27-49-40
**საკონსულტაციო დრო _** ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი 12-დან 16 საათამდე მსოფლიო ისტორიის კათედრაზე

**კრედიტების რაოდენობა:** 5 (ხუთი) ECTS კრედიტი. ხანგრძლივობა: 15 კვირა – 125 საათი. ა) სააუდიტორიაო – 45 სთ. (ლექცია – 30, პრაქტიკული – 15); ბ) დამოუკიდებელი – 80. კვირაში ჩატარდება 3 სააუდიტორიო შეხვედრა.

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო. კურსი იკითხება „საჯარო მმართველობა" საბაკალავრო პროგრამის I სემესტრში

**სალექციო კურსის მიზანია:** _ შეასწავლოს

აღნიშნული კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების (პოლიტოლოგიის) საფუძვლები. ამ რთულ სფეროში ჩვენი ქვეყნის ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკურ-სახელმწიფო მოღვაწეების გამოცდილება. მათი ხელმძღვანელობით წარმოებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიური ურთიერთობების ურთიერთკავშირები.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა _** არ აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:**

სტუდენტებს ეცოდინებათ პოლიტოლოგიის ძირითადი საკითხები; პოლიტიკური პროცესის ანალიზი; პოლიტიკური რეჟიმის არსი; საარჩევნო სისტემები; პოლიტიკური კულტურა; პოლიტიკური ელიტა; პოლიტიკური ლიდერის განსაზღვრებები; პოლიტიკური პროცესის პროგნოზირება.

**სწავლის შედეგების კრიტერიუმები:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ესმის პოლიტოლოგიის ასპექტების რაობა; იცნობს პოლიტოლოგიის შესახებ არსებულ ძირითად კონცეფციებს; | აქვს ღრმა და საფუძვლიანი პოლიტოლოგიის, პოლიტიკური პროცესის შესახებ; დაუფლებულია პოლიტიკური პოლიტოლოგიის, არსებული თემატიკის და პირველწყაროების მო... დამუშავება, ამოცანების დასმის და მათი გადაჭ... მეთოდებს; |

| | | |
|---|---|---|
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია პოლიტოლოგიის თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასება, ანალიზი;<br>შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა, მათი გადაჭრის ახალი გზების შემუშავება; | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია პოლიტო თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალ |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალიწინებებთ სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა | გააჩნია ანალიზისა და სინთეზის უნარი; შემოქმე ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები; |
| ღირებულებები | იცნობს პოლიტოლოგიის დამახასიათებელ ღირებულებებს | იხილავს და აანალიზებს პოლიტოლოგიის, თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების მ დასმულ საკითხებს<br>შეუძლია პოლიტოლოგიის, თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიერთა აზრ |

**პირველი კვირა**

**ლექცია #1 _** პოლიტოლოგია როგორც მეცნიერება(2სთ).
პრაქტიკული #1 _ (1სთ).
პოლიტოლოგიის საგანი, ობიექტი და კატეგორიები; პოლიტიკა, როგორც კვლევის ობიექტი; პოლიტოლოგიის საგანი, კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგიები; პოლიტოლოგიის პრაქტიკული დანიშნულება; პოლიტოლოგია სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სისტემაში: ფილოსოფია, სოციოლოგია, ეკონომიკა, ისტორია, პოლიტიკური ანთროპოლოგია, პოლიტოლოგიის კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგიური საკითხები.
Lლიტერატურა
(1: 24-41; 4;5;6)

**მეორე კვირა**

**ლექცია #2 _** პოლიტიკური აზროვნების (პოლიტიკური მეცნიერების) წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები (2სთ).
პრაქტიკული#2 _ (1სთ).
ძველი აღმოსავლეთის, ინდოეთის, ჩინეთის საზოგადოებრივ-რელიგიური (მითოსური) პოლიტიკური მემკვიდრეობა: კომფუცი `საუბრები და მსჯელობანი~, პლატონი `სახელმწიფო~, არისტოტელე `პოლიტიკა~, მონარქია, ტირანია, არისტოკრატია, ოლიგარქია, იხლოკრატია, კინიკების მოძღვრება, სტოილები, მარკუს ავრელიუსი, ციცერონი, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი; თომა აქვინელის `თეოლოგიის ჯამი~, ნ. მაკიაველის `მთავარი~, ჟ. ბოდენის `სუვერენიტეტის პრინციპი~. თ. ჰობსის, ჰ. გროციუსის შეხედულებები, ლოკის `ორი ტრაქტატი ხელისუფლებაზე~, მონტესკიეს `კანონთა სულის შესახებ~, ჟან-ჟაკ რუსოს `საზოგადოებრივი ხელშეკრულება~. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის პოლიტიკური იდეალი; ამერიკის დამაარსებელ მამათა შეხედულებები. ი. კანტის შეხედულებები და გ. ჰეგელის `სამართლის ფილოსოფია~ უტოპისტ სოციალისტთა და მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებები. ფ. ნიცშესა და ა. შოპენჰაუერის პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ასვე ზ. ფროიდის მსოფლმხედელოვბა. კლასიკური დასავლური სოციოლოგია: ო. კონტისა, ჰ. სპენსერის, მ. ვებერის შეხედულებები.

ლიტერატურა
(1: 49-125; 4;5;6)

**მესამე კვირა**

**ლექცია #3 _** ქართული პოლიტიკური აზრი(2სთ).
პრაქტიკული #3 _ (1სთ).
ქართული მითოლოგია, მითის პოლიტიკური არსი და შინაარსი. კოლხეთისა და იბერიის პოლი-ტიკური მსოფლმხედველობა. კოლხეთის რიტორიკული სკოლა.ქრისტიანოის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ქრისტიანობა და მისი პოლიტიკური იდეალი. მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა.პეტრე იბერიის ერთისა და სიმრავლის ფილოსოფია. გიორგი მერჩულეს პოლიტიკური ფილოსოფია. იოანე პეტრიწი ერთისა და პირველის პრობლემის შესახებ. ნეოპლატონიზმი საქართველოში. ერთმმართველობის პოლიტიკური ფილოსოფია. რუსთაველის პოლიტიკური იდეოლოგია. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური პორტრეტი. ლეონტი მროველის პოლიტიკური მსოფლმხედველობა, ერთიანი კავკასიური სახლის იდეოლოგიის ჩამოყალიბება. ჟამთა აღმწერელის პოლიტიკური ფილოსოფია. XVII-XVIII საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი (ფარსადან გორგიჯანიძე, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი, ანტონ დიდი, ალ. ამილახვარი, იოანე ბატონიშვილი). შოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური მსოფლმხედელობა. 1832წ. შეთქმულებ, ქართული ადრეული განმანათლებლობა. ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური პორტრეტი. 60-იანელთა პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ილია ჭავჭავაძის სპოლიტიკური პორტრეტი.
კაპიტალიზმი საქართველოში: I დასი, II დასი, III დასი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციები. ანარქიზმი და სოციალურ-ფეოდალიზმი საქართველოში.
ქართული პოლიტიკური აზრი 1918-1921 წლებში. ბოლშევიზმი როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა.

Lლიტერატურა
(1: 166-187; 4;5;6)

**მეოთხე კვირა**

**ლექცია #4 _** პოლიტიკური ხელისუფლება(2სთ).
პრაქტიკული #4 _ (1სთ).

ხელისუფლების პრობლემა პოლიტოლოგიაში, ხელისუფლების კვლევის მეთოდები: ეტი-მოლოგიური, ოპერაციონალური, ინსტიტუციონალური, ბიჰევიორისტული და ა. შ. ხელისუფლების გავლენის ძირითადი სფეროები: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური იდეოლოგიური.
პოლიტიკური ხელისუფლების მიზანი: პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი და არამშვიდოებიანი ფორმები (რევოლუცია, აჯანყება, სახელმწიფო გადატრიალება, ბოიკოტი, დემონსტრაცია და სხვა)
პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების მეთოდები და ფორმები.
პოლიტიკური ხელისუფლების ტიპები და ფორმები.
Lლიტერატურა
(1: 229-247; 2 ;3 ; 4;5;6)

**მეხუთე კვირა**

**ლექცია #5 _** სახელმწიფო პოლიტიკის თეორიაში(2სთ).
პრაქტიკული #5 _ (1სთ).
სახელმწიფო, როგორც ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითადი და უნივერსალური ფორმა. სახელმწიფოს განვითარება და მისი ისტორიული ტიპები: სახელმწიფოებრივი მართვის ფორმები. სახელმწიფოს ფუნქციოათა კლასიფიკაცია. სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები: პარლამენტი (საკანონმდებლოლ) აღმასრულებელი სამართლებრივი, სამხედრო, წესრიგის დამცველი, დამსჯელი და ა. შ. `სამართლებრივი სახელმწიფოს~ თეორია და პრაქტიკა.
Lლიტერატურა
(1: 254-267; 2 ;3;4;5;6)

**მეექვსე კვირა**

**ლექცია #6 _** პოლიტიკური პარტიები(2სთ).
პრაქტიკული #6 _ (1სთ
პოლიტიკური პარტიის ცნება და გენეზისი. მათი განვითარების ძირითადი ისტორიული ფორმები; პოლიტიკური პარტიათა კლასიფიკაცია და ტიპოლოგია: `ტოტალიტარული~, `სოციალური ინტეგრაციის~, `ღია~, `დახურული~, `საკადრო~ და ა. შ. პარტიულ სისტემათ ტიპოლოგია: მრა-ვალპარტიულობა, ორპარტიულობა, ერთპარტიულობა, კოალიციური, ბიპოლარული და ა. შ. პოლიტიკურ პარტიათა სტრატეგია და ტექნიკა.
Lლიტერატურა
(1: 272-278; 2;3;4;5;6)

**მეშვიდე კვირა**

**ლექცია #7 _** საზოგადოებრივი ორგანიზაცია(2სთ).
პრაქტიკული #7 _ (1სთ)
საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნება და ზოგადი დახასიათება. ა. ბენტლის `დაინტერ-ესებულთა ჯგუფის~ თეორია. პოლიტიკურ მოძრაობათა ტიპოლოგია. მასობრივი დემოკრატიული მოძრაობის თავისებურებანი, დაწოლის ჯგუფები, ლობიზმი, ინტერესთა ჯგუფები, კლუბები, პროფკავშირები და ა. შ.
Lლიტერატურა
(1: 278-283; 2;3;4;5;6)

**მერვე კვირა**

**ლექცია #8 _** პოლიტიკური პროცესი(2სთ).
პრაქტიკული #8 _ (1სთ)
პოლიტიკური პროცესის სახეები (ფორმები) და მისი არსი. პოლიტიკაში მონაწილეობა. საარჩევნო პროცესი როგორც პოლიტიკური პროცესის სახეობა და მასში მონაწილეობის ფორმა. პოლიტიკური კომფლიქტები, კრიზისები და მათი გადაჭრის სახელმწიფოებრივი მეთოდები. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები.
Lლიტერატურა
(1: 302-304; 2;3;4;5;6)

**მეცხრე კვირა**

**ლექცია #9 _** დემოკრატია _ ხალხის ხელისუფლება(2სთ).
პრაქტიკული #9 _ (1სთ)
დემოკრატიის არსი და განვითარების ეტაპები. დემოკრატიის ძირითადი პრინციპები და ინსტი-ტუტები. პოლიტიკური რეჟიმის არსი და კრიტერიუმები. ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმები. დემოკრატიული რეჟიმი. L
ლიტერატურა
(1: 226-240; 2;3;4;5;6)

**მეათე კვირა**

ლექცია #10 _ საარჩევნო სისტემები(2სთ).
სემინარი #10 _ (1სთ)
არჩევნების ცნება, როლი და ძირითადი პრინციპები დემოკრატიულ სისტემაში.
საარჩევნო სისტემის ტიპები. საარჩევნო პროცესი და მისი ძირითადი სტადიები.

ლიტერატურა
(1: 226-240; 2;3;4;5;6)

**მეთერთმეტე კვირა**

**ლექცია #11 _** თანამედროვე პოლიტიკური იდეები და მიმდინარეობები (2სთ).
პრაქტიკული #11 _ (1სთ)
იდეოლოგიის რაობა და ისტორიული ევოლუცია. იდეოლოგიის ტიპოლოგია და კლასიფიკაცია: კონსერვატორიზმი, ნეოლიბერიზმი (მარქსიზმ-ლენინიზმი), ფაშიზმი, ნეოფაშიზმი, ანარქიზმი. რელიგიის იდეოლოგიური ხასიათი და თავისებურებანი. მსოფლიოს ძირითადი რელიგიური მიმ-დინარეობები და პოლიტიკა.
ლიტერატურა
(1: 342-362; 2;3;4;5;6)

**მეთორმეტე კვირა**

**ლექცია #12 _** პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკური ქცევა(2სთ).
პრაქტიკული #12 _ (1სთ)
საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ცნება. პოლიტიკური კულტურის სამი ტიპი. აღმოსა-ვლეთისა და დასავლეთის კულტურული ტრადიციები; კულტურა და მორალი, ტრადიცია და თა-ნამედროვეობა. სულიერი კულტურა და პიროვნება.
ლიტერატურა
(1: 285-297; 2;3;4;5;6)

**მეცამეტე კვირა**

**ლექცია #13 _** დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკური სოციოლოგია(2სთ).

პრაქტიკული #13 _ (1სთ)
პოლიტიკური ელიტის ცნება. ვ. პარეტოსა და გ. მოსკას ელიტარული თეორიები. პოლიტიკური პლურალიზმი თუ ელიტის ერთმმართველობა; ელიტის ფორმირების ფორმები და მეთოდები. `ღირებულების~ თეორიის მიმდევრები პოლიტიკური ელიტის ფორმირების შესახებ.
ლიტერატურა
(1: 327-336; 2;4;5;6)

**მეთოთხმეტე კვირა**

**ლექცია #14 _** პოლიტიკური ლიდერი (2სთ).
პრაქტიკული #14 _ (1სთ)
ლიდერობის თეორიები: ლიდერობის ტიპოლოგია. მ. ვებერი ხარიზმატიკული ლიდერობის შესახებ. პოლიტიკური ლიდერობის თანამედროვე კლასიფიკაცია. ლიდერის ფუნქციები. პიროვნების კულტი.
ლიტერატურა
(3: 338-349; 2;4;5;6)

**მეთხუთმეტე კვირა**

**ლექცია #15 _** პოლიტიკური პროცესის პროგნოზირება (1სთ).
პრაქტიკული #15 _ (1სთ)
პოლიტიკური პროცესების წინასწარმეტყველების (პროგნოზების) ობიექტური აუცილებლობა. პროგნოზების ობიექტი და სუბიექტი. პოლიტიკოსის როლი პროგნოზირებაში.
ლიტერატურა
(1: 317-319; 2;4;5;6)

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** დასახული მიზნების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პრაქტიკული სამუშაო), დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი შეფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან

პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი და გამოკითხოს სტუდენტი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება

გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. მამუკელაშვილი, ე., ახალმოსულიშვილი. თ. (2010). პოლიტოლოგია. თბილისი: უნი ვერსალი
2. რეხვიაშვილი, ი., ჯალიაშვილი, ჯ., ხოჭოლავა, ვ. (1991). პოლიტოლოგია. თბილისი: ივერია.
3. ჭანია, ვ. (1998) პოლიტოლოგიის საფუძვლები. თბილისი: ბედია.

**დამატებითი ლიტერატურა:**

4. ჭანუყვაძე, ვ. ჭანია, ვ. (1996) პოლიტოლოგია. თბილისი: ბედია
5. გეგეშიძე, დ., ყურაშვილი, ს. (1994). პოლიტოლოგია. თბილისი: მეცნიერება
6. გოგიაშვილი, ო. (2003). პოლიტოლოგია. თბილისი: მეცნიერება
7. ნათაძე, ნ. (2002). პოლიტიკური თეორია ძველ საბერძნეთში. თბილისი: მეცნიერება.
8. რუსო, ჟ. (1997). საზოგადოებრივი ხელშეკრულება. თბილისი: მეცნიერება.
9. ასათიანი, გ. (2003). დასავლური პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების ისტორია. თბილისი: მეცნიერება
10. ბერდიაევი, ნ. (1993). ერი და კაცობრიობა. თბილისი: მეცნიერება.
11. აბაშიძე, ვ. (1977). ნარკვევები პოლიტიკური მოძღვრების ისტორიიდან. ტ. I-II. თბი ლისი: მეცნიერება